

**შპს "ელ ენდ ჯი"-ს
ფინანსური ანგარიშგება**

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

- 1 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
- 2 შემოსავლის ანგარიშგება
- 3 საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
- 4 ფულადი ნაკადების ანგარიშგება.
- 5 ფინანსური მდგომარეობისა და სრული შემოსავლების
ანგარიშგებების მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები,
შენიშვნები და განმარტებები

შპს "ელ ენდ ჯი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ლარებში

31.12.2020

31.12.2019

აქტივები

ბრძელვადიანი აქტივები

ძირითადი საშუალებები	1	1 663 883	1 707 587
არამატერიალური აქტივი	2	718	718
გადავადებული მოგების გადასახდი			
სულ გრძელვადიანი აქტივები		1 664 601	1 708 305

მიმდინარე აქტივები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	3	15 224	22 449
საეჭრო და სხვა მოთხოვნები	4	6 854	1 031 585
საგადასახადო მოთხოვნები	5	15 194	220 365
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	6	1 181 869	1 461 608
სულ მიმდინარე აქტივები		1 219 141	2 736 007
სულ აქტივები:		2 883 742	4 444 312

საპაუტარი კაპიტალი და ვალდებულებები

საპაუტარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი	8	200	200
რეზერვები და დაფინანსება			
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი		2 883 542	4 443 185
მიმდინარე წლის მოგება-ზარალი			
სულ საპაუტარი კაპიტალი		2 883 742	4 443 385

ბრძელვადიანი ვალდებულებები

ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე			
გადავადებული მოგების გადასახდი			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	8	-	-

მოკლევადიანი ვალდებულებები

საეჭრო და სხვა ვალდებულებები	7		927
გადავადებული შემოსავალი			
საგადასახადო ვალდებულებები			
გადასახდელი დივიდენდები			
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები			
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		-	927
სულ საპაუტარი კაპიტალი და ვალდებულებები		2 883 742	4 444 312

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

ვ. ფილია

მ ხურციძე

Handwritten signatures and initials.

შპს "ელ ენდ ჯი"

შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ლარებში	<u>2020</u>	<u>2019</u>
ამონაგები	1 880 868	4 618 631
სხვა შემოსავალი	3 814	
სულ შემოსავალი	1 884 682	4 618 631
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ხარჯი	60 222	1 439 178
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი	575 389	911 622
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	29 983	125 580
შექმნილი მომსახურების ხარჯები	1 125 127	117 259
საგადასახადო ხარჯი	18 377	17 332
საპენსიო ხარჯი	6 512	12 041
საიჯარო ხარჯები	29 233	27 575
უარყოფითი საკურსო სხვაობა		92 016
მივლინების ხარჯი	7 944	472 577
სხვა საოპერაციო ხარჯი	338	
სულ დანახარჯები	1 853 125	3 215 180
საოპერაციო მოგება	31 556	1 403 451
არასაოპერაციო ნეტო შემოსავალი/ხარჯი	247 520	189 409
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	279 076	1 592 860

დირექტორი



ვ. ფილია

მთ. ბუღალტერი:



მ ხურციძე

შპს "ელ ენდ ჯი"

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ლარებში

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები	2 848 141
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(1 226 752)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(468 494)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები:	1 152 895
გადახდილი მივლინების თანხები	(11 809)
ფულადი სახსრების ნაკადები განსაკუთრებულ მუხლებამდე	1 141 086

წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან

1 141 086

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან

ძირითადი საშუალებების შეძენა	(1 463)
მიღებული პროცენტები	

საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები

(1 463)

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან

გადახდილი დივიდენდები	(1 619 000)
გადახდილი გადასახადები	(148 500)
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	710 027
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(361 889)

საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები

(1 419 362)

ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა

(279 739)

ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის

1 461 608

ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის

1 181 869

1 181 869

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

ვ. ფილია

მ ხურციძე

შპს "ელ ენდ ჯი"

საკუთარი კაპიტალის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ლარებში


	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება- ზარალი 2017 წლიდან	გაუნაწილებელი მოგება- ზარალი 2017 წლამდე	სულ
31.12.2019 ნაშთი	200,00	3 274 437,95	1 168 746,91	4 443 384,86
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება- ზარალი		279 076,13		279 076,13
გაცემული დივიდენდი		(762 211,00)	(942 000,00)	(1 704 211,00)
სხვადასხვა გამოყენება		(134 508,00)		(134 508,00)
31.12.2019 ნაშთი	200,00	2 656 795,08	226 746,91	2 883 741,99

დირექტორი



ვ. ფილია

მთ. ბუღალტერი



მ ხურციძე

ახსნა განმარტებითი შენიშვნები

საწარმოს წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. წლიური ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ზოგადი ინფორმაცია

შპს „ელ ენდ ჯი“ (215143609) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში. საწარმოს იურიდიული მისამართია ქ. ფოთი, აღმაშენებლის ქ. #18. საწარმოს პარტნიორები არიან ფიზიკური პირები, ვასილ ფილია (50%) და მაია ხურციძე (50%). საწარმოს ძირითადი საქმიანობაა ადგილობრივი და საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზება და შესრულება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკები

მომზადების საფუძველები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე არ მოუხდენია არსებითი გავლენა მსს ფასს-ის შესაბამისად განხორციელებულ ინტერპრეტაციებს და შესწორებებს.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (ფუნქციონალური ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) ოპერაციები და ნაშთები

უცხოურ ვალუტაში ასახული ოპერაციების გადაყვანა ფუნქციონალურ ვალუტაში ხდება ოპერაციის მოხდენის ან აქტივების/ვალდებულებების შეფასების დღისთვის არსებული გასაცემი კურსით. ასეთი ოპერაციებიდან, ასევე წლის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული მუხლების შეფასებიდან წარმოშობილი საკურსო სხვაობებიდან მიღებული მოგება და ზარალის აღიარება ხდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ეფექტი აისახება კაპიტალში.

ფულად სახსრებთან და მათ ექვივალენტებთან დაკავშირებული საკურსო სხვაობის ეფექტის წარდგენა ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში საკურსო სხვაობის ხარჯისა და შემოსავლის სახით.

ამონაგების აღიარება

საქონლის/მომსახურების რეალიზაციასთან დაკავშირებული ამონაგების აღიარება ხდება საქონლის/მომსახურების მიწოდების და უფლების გადაცემის მომენტში. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ფასდაკლებებით. ამონაგები არ მოიცავს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ დამატებული ღირებულების გადასახადს.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლების შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით.

თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით.

რელიზებული პროდუქციის თვითღირებულება წარმოადგენილია ხარჯების სახით, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ამონაგების ფორმირებასთან.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც იგი წარმოიშვა. თუმცა კომპანიას სესხით არ უსარგებლია.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი შედგება საგადასახადო კანონმდებლობის შედეგად ყოველთვიურად გაანგარიშებული მოგების გადასახადით დასაბეგრი განაცემებზე დარიცხული მოგების გადასახადის თანხების ჯამისგან.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.

ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე.

თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ ცვეთის განაკვეთებში, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაში ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, საწარმო ახდენს აქტივის ცვეთის გადახედვას და კორექტირებას, რათა ასახოს მიმდინარე შეფასებები აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო ახდენს ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების მიმოხილვას, რათა განსაზღვროს, ხომ არ არსებობს აქტივების გაუფასურების რაიმე მინიშნება. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების მინიშნება, ხდება აქტივის (ან ურთიერთდაკავშირებული აქტივების ჯგუფის) აღდგენითი ღირებულების შეფასება და მისი შედარება ამ აქტივის საბალანსო ღირებულებასთან. თუ აქტივის აღდგენითი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება აღდგენითი ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო ახდენს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურების შეფასებას სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თითოეული ერთეულის (ან მსგავსი ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით მის გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია მარაგის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ერთეული (ან მსგავსი ერთეულების ჯგუფი) გაუფასურდა, მათი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება მარაგის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ შემდგომ პერიოდებში მოხდება გაუფასურების ზარალის კომპენსაცია, აქტივის (ან ურთიერთდაკავშირებული აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება მის ახალ შეფასებულ აღდგენით ღირებულებამდე (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში, დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე), მაგრამ ეს თანხა არ უნდა აღემატებოდეს თანხას, რომლითაც შეფასებული იქნებოდა აქტივი, რომ არ მომხდარიყო ამ აქტივის (ან ურთიერთდაკავშირებული აქტივების ჯგუფის) გაუფასურების აღიარება წინა პერიოდებში. გაუფასურების ზარალის კომპენსაცია დაუყოვნებლივ უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი საოპერაციო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება ფიფო მეთოდით.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების მიწოდების უდიდეს ნაწილს საწარმო ახორციელებს ნორმალურ საკრედიტო პირობებში, აქედან გამომდინარე, მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება. როდესაც რეალიზაციის ოპერაცია ცილდება ნორმალურ საკრედიტო პირობებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ვალდებულებების გადაყვანა ხდება ადგილობრივ ფულად ერთეულში საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გასაცემი კურსის გამოყენებით. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება სხვა შემოსავალში და ხარჯებში.

კაპიტალი

კაპიტალი მოიცავს სააქციო კაპიტალს, გაუნაწილებელ მოგებასა და სხვადასხვა რეზერვებს.

დივიდენდი აღიარდება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი გაცემა გამოცხადებული იყო ბალანსის შედგენის თარიღისათვის.

საწარმო იყენებს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართულ შუალედური დივიდენდის განაწილების პრაქტიკას.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან საწარმოს ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

შენიშვნა 1

(ლარი)

ძირითადი საშუალებები

ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.19	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.20
შექმენის ღირებულება				
1 მიწის ნაკვეთი	91 160,00			91 160,00
2 იჯარით აღებ. ქონების კეთ.	-			-
3 შენობები	6 560,66			6 560,66
4 ნაგებობები	301 526,73			301 526,73
5 ოფისის აღჭურვილობა	27 203,78		27 203,78	-
6 ავეჯი და ინვენტარი	19 084,69	1 462,71	19 440,62	1 106,78
7 სატრანსპორტო საშუალება	1 674 664,04		14 016,69	1 660 647,35
8 სარემონტო ინსტრუმენტები	14 052,86		5 281,68	8 771,18
ჯამი	2 134 252,76	1 462,71	65 942,77	2 069 772,70
ცვეთა	ნაშთი 31.12.19	ცვეთის ღარიცხვა	ცვეთის ჩამოწერა	ნაშთი 31.12.20
1 იჯარით აღებ. ქონების კეთ.				-
2 შენობა-ნაგებობები	12 596,51	6 358,57		18 955,08
3 მანქანა დანადგარები				-
4 ოფისის აღჭურვილობა	16 594,33		16 594,33	-
5 ავეჯი და ინვენტარი	8 818,20	221,36	8 818,20	221,36
6 სატრანსპორტო საშუალება	384 198,31	22 141,96	23 100,54	383 239,73
7 სარემონტო ინსტრუმენტები	4 458,28	1 261,86	2 246,41	3 473,73
ჯამი	426 665,63	29 983,75	50 759,48	405 889,90
საბალანსო ღირებულება	1 707 587,13			1 663 882,80

ძირითადი საშუალებების ცვეთა ღარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში აისახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით. აღსანიშნავია რომ აქტივების ტესტირება გაუფასურებაზე არ მომხდარა.

შენიშვნა 2

არამატერიალური აქტივები

(ლარი)

	ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.19	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.20
	შექმნის ღირებულება				
1	საბუღ. პროგრამა „ორისი“	996,45			996,45
	ჯამი	996,45	-	-	996,45
	ამორტიზაცია	ნაშთი 31.12.19	დარიცხვა	ჩამოწერა	ნაშთი 31.12.20
1	საბუღ. პროგრამა „ორისი“ ამორ.	278,00			278,00
	ჯამი	278,00	-	-	278,00
	საბალანსო ღირებულება	718,45			718,45

არამატერიალური აქტივების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

შენიშვნა 3

სასაქონლო მატერიალური ფასეულობა

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.19	ნაშთი 31.12.20
1	ხარჯად აღიარებული მარაგი	1 439 178,00	60 222,00
2	მარაგის ნაშთი წლის ბოლოს	22 449,26	15 224,11
	მ.შ. საწარმოო მარაგი	22 449,26	15 224,11

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების მიღება აღიარებულია შეძენის თვითღირებულებით, გასვლა აღიარებულია საშუალო შეწონილი ღირებულებით.

შენიშვნა 4

სამაზრო ღა სხვა მოთხოვნები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.19	ნაშთი 31.12.20
1	მოთხოვნები მიწოდებიდან	1 031 584,72	6 852,44
2	სხვა მოთხოვნები		
	ჯამი	1 031 584,72	6 852,44

საწარმოს საეკონომიკური მოთხოვნები გაწეული მომსახურების ნაწილზე მოდის. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი უახლესი ბრუნვის შედეგია. არსებითი ოდენობის უიმედოა მოთხოვნებში არ აღინიშნება.

შენიშვნა 5

საბაღასახადო მოთხოვნები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.19	ნაშთი 31.12.20
1	საბაღასახადო მოთხოვნები	220 365,00	15 194,00
	ჯამი	220 365,00	15 194,00

შენიშვნა 6

ფულადი სახსრები

	დასახელება	ნაშთი 31.12.19	ნაშთი 31.12.20
1	ფული საბანკო ანგარიშზე	1 461 608,30	1 181 869,00
	ჯამი	1 461 608,30	1 181 869,00

შენიშვნა 7

სამაგრო და სხვა ვალდებულებები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.19	ნაშთი 31.12.20
1	ვალდებულება მოწოდებიდან და მომსახურებიდან	927,00	
2	სხვა		
	ჯამი	927,00	-
1	გადავადებული შემოსავალი		
	ჯამი		

შენიშვნა 8

სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.19	ნაშთი 31.12.20
1	გასაცემი ხელფასი		
2	ვალდებულება პერსონალის წინაშე		
3	დარიცხული დივიდენდი		
4	სხვა ვალდებულება (საგადასახადო)		
	ჯამი	-	-

შენიშვნა 9

არასაოპერაციო შემოსავალ-ხარჯი

(ლარი)

	დასახელება	2019	2020
1	დადებითი საკურსო სხვაობა	193 409	362 494
2	სხვა შემოსავალი		520
3	1000 ლარამდე მატ ფასეულობის ხარჯი		(15 183)
5	სხვა ხარჯი	(4 000)	(100 310)
	ჯამი	189 409	247 520

შენიშვნა 10

გადასახადები

(ლარი)

	დასახელება	2019	2020
1	საანგარიშგებო პერიოდის საგადასახადო ხარჯი	17 331,88	18 377,12
2	გადავადებული მოგების გადასახადი		
	ჯამი	17 331,88	18 377,12